

**ამერიკაში მოღვაწე ქართველი
ემიგრანტი მწერალი
ალექსანდრე პაპუაშვილი (სანდრო ნებლო)
GEORGIAN IMMIGRANT AUTHOR
IN AMERICA ALEXANDER PAPUASHVILI
(SANDRO NEBLO)**

მონიკა ჯიჭონაია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი. საქართველო

Monika Jitchonaia

Akaki Tsereteli State University
Kutaisi. Georgia

ABSTRACT

The beginning of the past century was the most important period for the history of Georgian immigration. First of all, the given period was related to the Soviet ideological politics in Georgia, which played a central role in the shaping of the worldview of several Georgian writers of the period. It also assisted the Georgian immigration abroad, namely, to Europe and America.

The soul that feels thirst for freedom, always strives to find the place where it can feel better and can find its own self. A real patriot, however, never forgets his roots. It is no exaggeration to say that Alexander Papuashvili or Sandro Neblo (1895-1954), the Georgian immigrant writer who lived in America is believed to be among such patriots. His novels show the heartbreak of the writer. Among those is the novel “The Sacred Earth” published in California in 1948.

“The Sacred Earth is not only the hymn of the patriotism, but it is also a mirror of a soul for those who understand the meaning and importance of being human. By showing negative sides of society, the writer articulates his ideas clearly and frankly. That is why he deserved the love of the Georgian as well as foreign readers.

The proposed paper aims to acquaint the readers with Alexander Papuashvili’s worldview. Guided by the themes of the novel, things become clear with regard to the author. Nevertheless, a lengthy account of the writer’s biography in Georgian is still unknown to a larger part of the Georgian readers and it remains subject to future research.

საკვანძო სიტყვები: ქართული ემიგრანტული მწერლობა, ამერიკაში მოღვაწე ქართველი მწერლები, ალექსანდრე პაპუაშვილი (სანდრო ნებლო), პატრიოტიზმი.

Keywords: Georgian immigrant literature, Georgian writers working in America, Alexander Papuashvili (Sandro Neblo), Patriotism.

სანდრო ნებლო (1895-1954) დაიბადა საქართველოში. დღესდღეობით მწერლის ბიოგრაფიული ცნობები თითქმის უცნობია ქართველ მკითხველთა ფართო წრისათვის. როგორც ჩვენთვის ცნობილია, გიმნაზიის დასრულების შემდეგ, 1914 წლიდან, იგი რუსეთის არმიაში მსახურობდა. მისი მოღვაწეობის პერიოდი დაემთხვა საქართველოში საბჭოთა იმპერიის აღმასვლის ხანას, რის გამოც, მსგავსად ბევრი ქართველი მწერლისა და მოღვაწისა, მანაც იწვნია სამშობლოსაგან შორს ყოფნის ტკივილი.

მწერლის დამოკიდებულება რუსული პოლიტიკისადმი ნათლად ჩანს მის ნაწარმოებებში. ერთ - ერთი მათგანია მოთხრობა „წმინდა მიწა“, რომელიც 1948 წელს კალიფორნიაში გამოიცა.

რედაქტორის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, რომ „წმინდა მიწა“ ასახავს უცხოური წარმომავლობის მქონე იმ ადამიანთა ამერიკულ ცხოვრებას, რომლებმაც დატოვეს საკუთარი მიწა-წყალი, რათა ეპოვათ თავისუფლება, რომელიც მათ საბჭოურმა იდეოლოგიამ წაართვა. მათთვის რუსეთი დემოკრატიული პრინციპების მტერს წარმოადგენდა.

ნაწარმოების სიუჟეტსაფუძვლად დასდებია სამშობლოსიყვარული. მასში გადმოცემული ამბები რამდენადმე დრამატულია და ფილოსოფიურ სიღრმეებში გადაყვარათ. რედაქტორს სწამს, რომ ხსენებულმა ნაწარმოებმა თითოეულ ადამიანს უნდა გაუღვიძოს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. ამასთან, მიიჩნევს, რომ ავტორმა ოსტატურად გააერთიანა რელიგია, სიყვარული და ვალდებულება ერთ სიბრტყეში.

ნაწარმოებში გადმოცემული ამა თუ იმ საინტერესო ამბის მიღმა მწერლის მთავარი სათქმელი ჩანს. მაგალითად, პატარა ნატამას პერსონაჟი მკითხველში თანაგრძნობას იწვევს. ავტორი არც მალავს, რომ ბევრი რუსი ეროვნების ადამიანი გამოექცა რუსეთის დესპოტურ რეჟიმს, რათა გაეუმჯობესებინა თავისი ცხოვრებისეული პირობები ამერიკაში, რაც გარკვეულწილად მოახერხა კიდეც, თუმცა ცხოვრება მათ კიდევე ბევრჯერ გამოცდიდა.

ასაკოვანი ქალბატონი მშვენიერ პატარა გოგონასთან ერთად მიუყვებოდა ეკლესიის გზას. გოგონას თანატოლებმა დასცინეს იმის გამო, რომ ის კუზიანი იყო. მაშინ ქალმა დაუწყო მათ ლანძღვა მშობლიურ (რუსულ) ენაზე, თან გოგონას ამშვიდებდა: „ნუ ტირი, ისინი შენი ცრემლის ღირსნი არ არიანო“ (ნებლო 1948: 18). ამის შემდეგ, როგორც ავტორი გადმოგვცემს, ეკლესიაში შესულმა ასაკოვანმა ქალბატონმა დაიწყო ლოცვა. იგი შესთხოვდა უფალს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მას წაიყვანდა, ნატამაც წაეყვანა, რადგან არ ემეტებოდა იგი ამ ცოდვილი სამყაროსათვის და ფიქრობდა, რომ მართობისათვის იყო განწირული.

გოგონაც თავის მხრივ ლოცულობდა, ევედრებოდა უფალს, დაეხსნა იგი ამ საშინელი სენისგან, რათა არ გამხდარიყო მუდმივად სხვების დაცინვის ობიექტი.

სიმბოლურია ნაწარმოებში ავტორის მიერ ნათლობის სუფრაზე გამოთქმული მოსაზრებები ღვინის შესახებ. იგი ხაზს უსვამს მის ძალას, სურს, რომ იქ მყოფებს საქართველოს მაგალითზე გააცნოს ღვინის

მნიშვნელობა, თუ რაოდენ დიდი დატვირთვა აქვს ქართველი ხალხისათვის პურსა და ღვინოს.

„ყველაზე ცუდი დიპლომატიც კი ღვინის მეშვეობით ქვეყანას უამრავი სირთულისაგან იხსნის“ (ნებლო 1948: 28). ავტორის თქმით, ძველი ქართული ტრადიციის თანახმად, თუკი სუფრასთან ერთდროულად ორი ადამიანი მიირთმევს პურსა და ღვინოს, მათი მეგობრობა იმდენად მტკიცე ხდება, რომ იშვიათად შეიძლება იქცნენ მტრებად. ამდენად, ღვინო და პური ავტორის მიერ მეგობრობის სიმბოლოდ არის წარმოდგენილი.

როგორც აღვნიშნეთ, ნაწარმოებში სიყვარული, მეგობრობა და რწმენა ერთმანეთშია შეზავებული. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ავტორის ამერიკელი მეგობრის - ბობის პერსონაჟი, რამეთუ მასში იკვეთება ნამდვილი მეგობრის სახე (ის დაეხმარა სანდროს სამსახურის მოძებნაში).

პირველ სამუშაო დღეს მწერალი ხვდება სამსახურის მენეჯერს, რომელსაც თავს რუსად გააცნობს, მიზეზად კი იმ ფაქტს ასახელებს, რომ საქართველო ნაკლებად არის ცნობილი მსოფლიოს სხვა ქვეყნებისათვის, რაზედაც მენეჯერი მიუგებს, რომ ეს სიცრუეა, რადგან ის შესანიშნავად იცნობს საქართველოს.

მწერლის გაკვირვებას იწვევს ერთ-ერთი პერსონაჟის - უოლტერის ისტორია. როგორც აღმოჩნდა, უოლტერის ოჯახი ჩიკაგოში ჩამოსულა მაშინ, როცა იგი რვა წლის იყო, მისი და კი ათისა. დედა მალევე გარდაცვლიათ. მათ დავიწყებიათ როგორც რუსული, ასევე პოლონური ენაც (მამა რუსი გახლდათ, დედა კი - ნახევრად პოლონელი). ოცდასამი წელი გასულა მას შემდეგ, რაც ამერიკაში ჩამოვიდნენ, მაგრამ, როგორც თავად აღნიშნავს, ერთი დღეც კი არ გასულა, რომ რუსეთზე არ ეფიქრა:

„თუ ღმერთი ინებებს, ერთ დღეს აუცილებლად ვნახავთ ჩვენს სამშობლოსო“ (ნებლო 1948: 38), - ამბობს უოლტერი და კიდევ უფრო სარწმუნო ხდება ერთი ჭეშმარიტება - სამშობლო ყველასათვის ერთია, ყველას ერთნაირად ტკივა მისი მონატრება. მისგან შორს ყოფნა სულის სიცარიელესა და შინაგანი დაუკმაყოფილებლობის შეგრძნებას იწვევს. ჩვენ, ადამიანები, სრულყოფილებასა და თავისუფლებას მხოლოდ საკუთარ მიწაზე ვაღწევთ; იქ, სადაც ჩვენი ფესვებია.

წარმოიდგინეთ, - მოგვმართავს მკითხველებს სანდრო ნებლო, - ნუთუ ამგვარი რამ შესაძლებელია, ოცდასამი წელიწადია უოლტერი ამერიკაში ცხოვრობს, რუსეთი რვა წლის შემდეგ არ უნახავს, მაგრამ მაინც იტანჯება. ეჰ, რაოდენ დიდია სამშობლოს სიყვარული, რაოდენ ღრმა და დაუვიწყარია ბავშვობის შთაბეჭდილებები. ყველაზე ცივ დღეებშიც კი ყველაზე თბილია მასთან სიახლოვე.

XX საუკუნეში არაერთი ქართველი მწერალი, მოღვაწე გახდა ემიგრაციის მსხვერპლი. ზოგიერთი მათგანი ნებით, ზოგიც ძალდატანებით გაურბოდა ქვეყნად არსებულ დიქტატორულ რეჟიმს (ნიკოლეიშვილი 2006: 3). ისინი ერისათვის მტკივნეულ პროცესებს შორიდან ადევნებდნენ თვალს და სათქმელს კალმით გამოხატავდნენ. თავიანთი შემოქმედებით ებრძოდნენ იმას, რამაც შედეგად ემიგრაცია, მათი გადახვეწა გამოიწვია.

ემიგრანტ მწერალთა შემოქმედებითი მოღვაწეობა სოციალურად განსხვავებულ გარემოში გრძელდებოდა. განსხვავებული კულტურა, განსხვავებული მსოფლმხედველობა დილემის წინაშე აყენებდა ქართველ მწერალთა უმეტესობას.

დაკარგულის ძიება, წარსულზე ფიქრები წითელ ზოლად გასდევს ემიგრანტთა მთელ შემოქმედებას. ამ თვალსაზრისით სანდრო ნებლოს ხსენებულ ნაწარმოებს პირდაპირ ეხმიანება ქართველი ემიგრანტი მწერლის - გიორგი პაპაშვილის მოთხრობა „ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ („Anything can happen“).

„ქუჩაში ვიყავი თუ სამუშაოზე ვდილინებდი, თავში სულ სიმღერა მიტრიალებდა: „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“ (პაპაშვილი 1966: 44), - გვეუბნება მწერალი და ამ გარემოებას მეტად ამძაფრებს მისი შემდეგი სიტყვები: „მეშველა, სამი წლის შემდეგ კვლავ გავიგონე მშობლიური ბგერები“. ამას გიორგი პაპაშვილი ძია ვანოსთან შეხვედრის დროს გადმოგვცემს და მისი სამშობლოსადმი დამოკიდებულის შეცნობის საშუალებასაც იძლევა.

ვფიქრობ, არ იქნება გასაკვირი, თუკი ძია ვანოს ასოციაციურად საქართველოსთან დავაკავშირებთ, რამეთუ მწერალი ერთგან თავად მიგვანიშნებს: „როცა კი ამერიკის თავბრუდამხვევი ორომტრიალი ჩამითრევდა, ადგილიდან ადგილზე გადავდიოდი, სამუშაოს ვიცვლიდი, ნაცნობ სახეს ვეღარ დავინახავდი, მაშინ გავიხსენებდი, რომ სადღაც არსებობს ყველასათვის საყვარელი ძია ვანო და კვლავ კარგ ხასიათზე ვდგებოდი.“

ძია ვანოსთან შეხვედრამდეც მწერალს მხოლოდ საქართველოზე ფიქრი ასლდგმულებდა და ამდენი დაბრკოლების გადალახვაც სწორედ იმაზე ფიქრმა შეაძლებინა, რომ სადღაც შორს, ერთ პატარა საქართველოში, არსებობს მონატრებული სოფელი - კობიანთკარი.

საინტერესოა თავად ძია ვანოს სულში დაბუდებული მონატრება მშობლიური კუთხისა - „სამი წელი? თქვა მოხუცმა ქართულად, - სამი წელი და წუწუნებ? მე რაღა ვთქვა, შვილო, ოცდაათი წელია მშობლიური ქართული არ გამიგონია!“ (პაპაშვილი 1966: 45).

მიუხედავად ამისა, ძია ვანო ახერხებს სამშობლოდან გამოყოფილი ქართული სული უკვდავყოს აქ, ამ ვეებერთელა ამერიკაში. ის არათუ სამშობლოს არ ივიწყებს, მეგობრობის, ტრადიციული ვაჟკაცური ბუნების მეხოტბედ გვესახება და ყველასათვის მისაბამ პიროვნებად წარმოგვიდგება. მისთვის მთავარია შემოიკრიბოს ყველა ის ადამიანი გარშემო, ვისაც გზა ვერ გაუგნია ამ უკაცრიელ და უდაბურ გარემოცვაში და აზიაროს ჭეშმარიტ სიკეთეს, რათა ყველას, დიდსა თუ პატარას, სამუდამოდ დაამახსოვრდეს ძია ვანოს სახელი, ადამიანისა, ვინც თავისი ქცევით, ბუნებით უკვდავყოფს სამშობლოს სახელს და ყველა ემიგრანტისათვის მაგალითი ხდება.

ემიგრაციაში ცხოვრება მოწამეობრივი გზის გავლას მოითხოვს იმ ადამიანისაგან, ვისაც საბოლოოდ სამშობლოში დაბრუნება სურს.

ემიგრანტის ყოფა შესაძლოა მხოლოდ თანამემამულის უეცარმა ნახვამ შეამსუბუქოს. გიორგი პაპაშვილის ნაწარმოებში ამგვარ პიროვნებად მია ვანო წარმოგვიდგება. ისინი ერთმანეთს სამშობლომ დაახლოვა.

ხაზგასასმელია მეგობრობის მისაბამი მაგალითი, რომელიც ორივე ზემოხსენებულ ნაწარმოებში შესანიშნავად არის წარმოდგენილი. ამდენად, მათ შორის ბევრი მსგავსება შეგვიძლია აღმოვაჩინოთ, რამდენადაც ორივე მათგანის ავტორი პატრიოტიზმით გულანთებული მამულიშვილია; მათ სულსა და გონებას სამშობლოზე ფიქრი ასაზრდოებს.

სანდრო ნებლოს „წმინდა მიწა“ თამამად შეიძლება მოვიხსენიოთ პატრიოტიზმის ჰიმნად, იმგვარი სიყვარულის გამოვლინებად, რომელსაც საზღვრები არ გააჩნია. ის ერთგვარი ნუგეშია როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მოქალაქისთვისაც, რადგან საერთო ადამიანურ გულისტკივილს ახმიანებს და, საერთოდ, ადამიანობის უბადლო მაგალითია.

საზოგადოებრივი თვითშეგნების ამაღლება სწორედ იმგვარ პრინციპებს ემყარება, რომელზედაც აშკარად თუ შეფარვით ალექსანდრე პაპუაშვილი ღაღადებს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ნებლო 1948: ნებლო ს., წმინდა მიწა. კალიფორნია, 1948.

ნიკოლეიშვილი 2006: ნიკოლეიშვილი ა., ქართული ემიგრანტული მწერლობა. ქუთაისი, 2006.

პაპაშვილი 1966: პაპაშვილი გ., ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. თბილისი, 1966.

<http://givargi.blogspot.com/2012/05/xx.html>. დამოწმება: 12.12.2020;

<http://magazines.russ.ru/continent/2013/152/11ch.html>. დამოწმება: 12.12.2020.